

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი #5

ქ. ონი

30.05.2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგუშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბალაშვილი, დიმიტრი გომაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, სერგო ლობჯანიძე, მამია ყავლაშვილი, ანა ბაქრაძე, გიორგი მაისურაძე, გელა მეტრეველი, დავით მეტრეველი, კესო ჩარკვიანი, გიორგი მარკოიშვილი, დავით სხირტლაძე, ბესიკი მაისურაძე, ბექარი მაისურაძე, ირმა სტეფნაძე-იაშვილი. აველი ორდინიძე.

არ ესწრებოდა 6 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ღვთისაყარ ბაკურაძე, ნოდარ ბურდილაძე, ალექსანდრე ბერიშვილი, შორენა რეხვიაშვილი, როზა ჩალაძე,

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ეკატერინე მაისურაძე, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი ირმა მაისურაძე, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი მარინე რაჭმაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ დირექტორი თეიმურაზ რეხვიაშვილი.

1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სამი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

/მომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

3. არასამეწარმეო-(არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ..

/მომხსენებელი-ირმა მაისურაძე-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი)

4. „ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი-მარინე რაზმაძე-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი)

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხების შესახებ.

/მომხსენებელი-გიორგი მარკოიშვილი-სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

6. სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ნუმერაციის განახლებისა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი-გივი მეტრეველი-სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

7. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბაგა-ბაღში არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი- სონია გუგეშაშვილი- განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს შეირჩა პრიორიტეტები, შემდეგ შეიქმნა კომისია, რომელმაც იმუშავა და შეადგინა გეგმა ამ პრიორიტეტების მიხედვით, ეს უნდა ყოფილიყო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა მუნიციპალიტეტში პროექტების განხორციელება, თუმცა ეს დოკუმენტი არც გვინახავს. სამუშაოები რომ მიმდინარეობდეს წინასწარ გაწერილი პრიორიტეტების გეგმის მიხედვით, აღარ გაჩნდებოდა კითხვები, თუნდაც ამ შემთხვევაში სოფ. წოლასა და სოფ. კვაშხეთში გზის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფაზე, მაშინ, როცა ყველაზე ხალხმრავალ და საკურორტო სოფლებში-უწერასა და გლოლაში კვლავ სასმელი წყლის პრობლემაა და სავალალო მდგომარეობაშია წყალსადენები. ვ. ჩლაიძემ განაცხადა, რომ სოფ. ბარში 2016 წელს უნდა დაწყებულიყო სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მიუხედავად სხდომებსა და თათბირებზე საკითხის არაერთგზის დაყენებისა, პრობლემა კვლავ აქტუალურია და მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშეა. გ. მარკოიშვილმა ისაუბრა სოფ. ღარში სოფლის შიდა გზების მოასფალტების სამუშაოებისას წარმოქმნილ ხარვეზებზე და მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილებაზე წარმოებული სამუშაოების მიმართ, რადგან კომპანია, რომელიც ახორციელებს სოფ. ღარის ასფალტირებას, უარს აცხადებს სოფლის ჩიხებში მუშაობაზე. გ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ სოფ. სევაში, ნადირაშვილების უბნის გზის სამუშაოებზე საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიას ჰქონდა გარკვეული შენიშვნები და აცხადებდა, რომ ეს გზა არ იმუშავებდა. გაწვიმების შემდეგ გზა ჩამოირეცხა, რაც წყალამრიდების არ არსებობამ გამოიწვია. გზის რეაბილიტაციის დროს აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება ამ საკითხზე. ალ. კერვალიშვილმა ისაუბრა ქვემო სორში სანიაღვრე არხის წმენდისა და მეტრეველების უბანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე.

თ. გრძელიშვილმა აღნიშნა, რომ უწერის წყალსადენთან დაკავშირებით ჩატარდა კონსოლიდირებული ტენდერი მხარის მასშტაბით, მეწარმემ წარმოადგინა უწერის წყალსადენის არასრულყოფილი პროექტი და მერია იძულებული გახდა შეეწყვიტა ხელშეკრულება, რაც შეეხება გლოლის წყალსადენს, მისი სრული რეაბილიტაციისათვის 65 000 ლარი არ არის საკმარისი, უმჯობესია მოხდეს სათავე-ნაგებობის მშენებლობა და მიწების შეძენა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში მოსახლეობას შეუძლავთ მდგომარეობა, რაც შეეხება სორს, დღის წესრიგშია სორის, გადამშისა და ჭვებარის გზის დაპროექტების საკითხი, ხოლო სანიაღვრე არხზე ტენდერი შედგა და

დაიწყება სამუშაოები. თ. გრძელიშვილმა ისაუბრა სოფ. ღარში შიდა საუბნო გზების ასფალტირების სამუშაოებზე და აღნიშნა, რომ მეწარმემ წარმოადგინა კორექტირებელი პროექტი, მოხდება მოსახლეობასთან შეხვედრა, ჩიხები აუცილებლად დაიგება, სადაც ტექნიკა ვერ შევა, მოხდება იმ ჩიხების მოხრეშვა, რაც შეეხება ბარის წყალს, პროექტი მზადაა, ჩააყენეთ ხელმძღვანელობა საქმის კურსში, რომ გათვალისწინებული იქნას ბიუჯეტში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

/მომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

გ. მეტრეველმა თხოვა თ. გრძელიშვილს, განემარტა, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით 10%-ანი შესრულების მიზეზები, რაზეც თ. გრძელიშვილმა განაცხადა, რომ პრობლემა ძირითადად რეგიონალური ფონდით დაფინანსებული პრობლემების შესრულების კუთხითაა, არ შედგა რამდენიმე დიდი ტენდერი და მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით.

ცნობად იქნა მიღებული ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მოისმინეს: 3. არასამეწარმეო-(არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი-ირმა მაისურაძე-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი)

ი. მაისურაძემ ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი არასამეწარმეო-(არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ ტურისტული ცენტრის ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ და განმარტებითი ბარათი. აღნიშნული ა(ა)იპ-ის ლიკვიდაციის აუცილებლობაზე ისაუბრა ე. მაისურაძემ და

განაცხადა, რომ მერია ლიკვიდაციის გადაწყვეტილებამდე მივიდა სხვადასხვა ფაქტორის გამო, კერძოდ, აღნიშნულ აიპ-ს არ გაუკეთებია არც ის მინიმუმი, რაც შესაძლებელი იყო არსებული დაფინანსების პირობებში, აიპ-ის ხელმძღვანელი ითხოვდა გარკვეული თანხის დამატებას, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე ადგილობრივ ბიუჯეტს არ აქვს, თუმცა, რეალობიდან გამომდინარე, მიზერული დაფინანსების პირობებშიც შესაძლებელი იქნებოდა ეფექტური, დებულებიდან გამომდინარე ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, ამ აიპ-ში ურთიერთობები და სამუშაო გარემო არაჯანსაღია, მერიამ თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე გადადგა ნაბიჯები აიპ-ის ხელმძღვანელის მოთხოვნის შესაბამისად, გამოიძებნა ფართი, თუმცა მივიღეთ უარი ფართის სიმცირის მიზეზით, ასევე, მერიის ჩარევით ხდებოდა შიდა კონფლიქტების მოგვარება. ლიკვიდაციის შემდეგ შეიქმნება ახალი აიპი, რომელსაც ექნება ტურიზმის კუთხით საინფორმაციო ფუნქცია. ვ. მეტრეველის თქმით, არაჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულება შექმნა უფუნქციობამ, თავის დროზე ეს აიპი შეიქმნა სხვა აიპ-ის ბაზაზე და ეს იყო ნაჩქარევი, ახლა დაისვა ადამიანური ფაქტორი, რთულია ხუთი შვილის მამის დატოვება სანსახურის გარეშე. ს. გუგუშაშვილის თქმით, მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მდგომარეობა აიპ-ში არაჯანსაღია, არსებობს სტანდარტები, რომელსაც უნდა დაემორჩილოს თანამშრომელიც და ხელმძღვანელიც, ამ სტანდარტების უგულვებელყოფა იწვევს ურთიერთობების გაართულებას, ამიტომ უმჯობესია, ეს ყველაფერი დასრულდეს და და მოხდეს აიპ-ის ლიკვიდაცია. გოჩა მეტრეველის თქმით, პოლიტიკურ ჭრილში საკითხის განხილვისას, აიპ-ის ლიკვიდაცია არამართებულია, მაშინ, როცა ხუთი შვილის მამა დაბრუნდა რაჭაში, მაქსიმალურად უნდა ხდებოდეს ხელის შეწყობა მისთვის, რომ დარჩეს და ცხოვრობდეს ჩვენს მუნიციპალიტეტში, საჭიროა, ამ კუთხით დაფიქრება ამ საკითხზე. თ. რეხვიაშვილმა ისაუბრა აიპ-ის მუნიციპალიტეტის ტურისტულ ცენტრ“-ში არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ მან და მისმა მეუღლემ თბილისში დატოვეს სამსახურები და ხუთი შვილით დაბრუნდნენ ონში, რადგან მან მიიღო ის შემოთავაზება, რომლის მიხედვითაც შეიქმნებოდა ახალი სამსახური, ნორმალური სამუშაო გარემოთი და ყველა იმ პირობით, რაც საჭირო იქნებოდა ტურისტული მიმართულების განვითარებისა და ამ კუთხით სხვადასხვა პროექტების განხორციელებისათვის, ბიუჯეტით და იმ ხალხით, ვინც იცის ეს საქმე, თუმცა დახვდა უამრავი პრობლემა-მხოლოდ ერთი კომპიუტერი, მოუწესრიგებელი სველი წერტილები, ბიუჯეტი, რომლის 95% ხელფასებშია გაწერილი და ხუთი ათასი ლარიც არ რჩებოდა საქმიანობის წარმართვისთვის, აიპ-ის მუშაობა თუ არაეფექტური იყო, ეს რესურსის არ არსებობის გამო, არსებული ბიუჯეტით მუშაობა ნიშნავდა ბიუჯეტის ფლანგვას. როგორც თ. რეხვიაშვილმა აღნიშნა, მან დასვა საკითხი აღნიშნული პრობლემების შესახებ ხელმძღვანელობასთან, შეადგინა გეგმა, გადაიღო კლიპები, წარმოადგინა ექვსი პროექტი, თუმცა არცერთ მის მიერ დაყენებულ საკითხს რეაგირება არ მოჰყოლია და არავინ დაინტერესებულა, მისი თქმით, პრობლემა თანამშრომლებთან არ ჰქონია, მხოლოდ აიპ-ის ყოფილი დირექტორის დეკრეტული შვებულებიდან გამოსვლის შემდეგ დაიძაბა მდგომარეობა და ამ დრომდე, უშუალოდ მისი მიზეზით ხდება პრობლემები ურთიერთობებში.

ახლა, როგორც მან აღნიშნა, აიპ-ის ლიკვიდაციის გადაწყვეტილებით გადაწყდება მისი ოჯახისა და მისი შვილების ბედი.

ვ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ ტურიზმი ესაა პრიორიტეტული მიმართულება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის, ამ ფონზე ტურიზმის აიპ-ის ლიკვიდაცია გაუმართლებელია. ი. სტეფნაძე-იაშვილის თქმით, შთაბეჭდილება რჩება, რომ აიპ-ის ხელმძღვანელს უნდა საქმის კეთება და არ ხდება ხელისშეწყობა და დაფინანსება და თუ აიპ-ში პრობლემებია, მოგვარება შიძლება თანამშრომლების ან ხელმძღვანელის გათავისუფლებით, აიპ-ის გაუქმება შიდა პრობლემების არსებობის გამო, ან არაეფექტურობის გამო არასწორია, მით უმეტეს მაშინ, როცა კვლავ იგეგმება ახალი, იგივე პროფილის აიპ-ის შექმნა.

ბ. მაისურაძემ განაცხადა, რომ უმჯობესია, მიეცეს ვადა აიპ-ის დირექტორს, უახლოეს სხდომაზე წარმოადგინოს აიპ „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ განვითარების გეგმა და თავისი ხედვა შემდგომი მუშაობის წარმართვის კუთხით და მხოლოდ შემდეგ იქნას გადაწყვეტილება მიღებული.

გივი მეტრეველმა აღნიშნა, რომ უმჯობესია საკითხი გადაიდოს და გადაწყვეტილება მიღებული იქნას ღრმა ანალიზისა და განხილვის შემდეგ.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგია საკითხის გადადების და მომხრეა აიპ-ის ლიკვიდაციის, რადგან საკითხი საფუძვლიანად იქნა განხილული ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომაზე, სადაც ფრაქციის წევრები შეჯერდნენ მისი ლიკვიდაციის საკითხზე.

ვ. ჩლაიძემ აღნიშნა, რომ მერიის წარმომადგენლის განმარტებით, ამ აიპ-ის გაუქმების შემდეგ შეიქმნება ახალი აიპ-ი, ეს არამართებულია, ამიტომ იგი მომხრეა საკითხი გადაიდოს უახლოეს სხდომამდე.

ბ. მარკოიშვილმა მიმართა კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებს, ღრმად შეისწავლონ საკითხი, შეჯერდნენ და შემდეგ სხდომაზე წარმოადგინონ დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნები.

საკითხის, „არასამეწარმეო-(არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, გადადება დადგა კენჭისყრაზე

მომხრე- 25, წინააღმდეგი -2

გადაწყდა: გადაიდოს საკითხი- არასამეწარმეო-(არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ..

მოისმინეს: 4. „ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი-მარინე რაზმაძე-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი)

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხების შესახებ.

/მომხსენებელი-გიორგი მარკოიშვილი-სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 6. სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ნუმერაციის განახლებისა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი-გივი მეტრეველი-სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ნუმერაციის განახლებისა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 7. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბაგა-ბაღში არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი- სონია გუგეშაშვილი- განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

ს, გუგეშაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბაგა-ბაღში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე